ცენცაჟილის სიკვდილი

მორის მეტერლინკი

iBooks

მორის მეტერლინკი - ტენტაჟილის სიკვდილი
Maurice Maeterlinck - La Mort de Tintagiles

ქვეყნდება შპს iBooks-ის მიერ
ვაჟა-ფშაველას მე-3 კვ., მე-7 კ.
0186 თბილისი, საქართველო
www. iBooks.ge

ქართული თარგმანი ეკუთვნის თამარ ნათიშვილს

iBooks© 2020 ყველა უფლება დაცულია.

მოცემული პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება იქნას რეპროდუცირებული, გავრცელებული ან გადაცემული ნებისმიერი ფორმითა და ნებისმიერი საშუალებით, მათ შორის ელექტრონული, მექანიკური, კოპირების, სკანირების, ჩაწერის ან რაიმე სხვა გზით გამომცემლის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. გამოქვეყნების უფლების შესახებ გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: info@iBooks.ge

სარჩევი

მოქმედი პირები
მოქმედება პირველი
მოქმედება მეორე
მოქმედება მესამე
მოქმედება მეოთხე
მოქმედება მეხუთე

მოქმედი პირები

ტენტაჟილ
იგრენა, ტენტაჟილის და
ბელანჟერ, ტენტაჟილის და
აგლოვალ
დედოფლის სამი მოსამსახურე

მოქმედება პირველი

ბორცვის მწვერვალი, რომელიც ძირს ციხეს დაჰყურებს
შემოდიან ხელიხელ ჩაკიდებულები იგრენა და ტენტაჟილ

იგრენა. ტენტაჟილ! ამ პირველ ღამეს აქ ცუდად გაატარებ. ზღვა გრგვინავს და ხეებიც კვნესიან, თითქოს ვიღაცას უჩივიანო... გვიანაა... სადაცაა მთვარე მოეფარება ალვის ხეებს, ამ ციხეს რომ გარშემოვლებიან... შეიძლება ჩვენ აქ მარტონც ვიყოთ, მაგრამ მაინც სიფრთხილე გვმართებს. ვგონებ, აქ უმცირეს ბედის მოახლოვებასაც კი უდარიელებენ, ერთხელ გულის სიღრმეში ჩავითქვი - ისე რომ ღმერთსაც ძლივს შეეძლო გაეგონა, - ვუთხარი ჩემს თავს, ვბედნიერდები მეთქი... ამის თქმა იყო და რამდენიმე ხნის შემდეგ მოგვიკვდა მოხუცი მამა, ხოლო ჩვენი ორივე ძმა სადღაც გაქრა... ახლაც არც ერთ ადამიანის შვილს არ შეუძლია გვითხრას, თუ სად არიან ჩვენი ძმები... და, აი, მარტოდმარტო ვარ ჩემს საწყალ დასა და შენთან ერთად, ჩემო პატარა ტენტაჟილ... ამიტომ მომავალს ვერ მივენდობი... მაკოცე, შენი პატარა ხელებით ყელზე მომეხვიე... იქნებ, ეგ ხელები ვეღარავინ მომაშოროს... გახსოვს, საღამოობით როგორ გატარებდი ხოლმე უფანჯრებო გძელ ტალანებში, შენ რომ ჩემი სანათის ჩრდილის გეშინოდა... როცა დღეს დილით ხელახლა გნახე, უცებ ვიგრძენი, ჩემი სული როგორ შეთრთოლდა. შორს მეგონე, უშიშარ ადგილას... აქ ვინ მოგიყვანა?
ტენტაჟილ. არ ვიცი, დაო.
იგრენა. არ გახსოვს, რაზე საუბრობდნენ?
ტენტაჟილ. წასვლაზე... გზას უნდა გავუდგეთო...
იგრენა. რატომო?
ტენტაჟილ. იმიტომ, რომ დედოფალს ასე სურსო...
იგრენა. არ თქვეს, დედოფალს ეს რატომ სურს?.. დარწმუნებული ვარ, კიდევ ბევრ რამეზე ილაპარაკებდნენ...
ტენტაჟილ. არა გამიგონია რა, დაო.
იგრენა. რაზე მუსაიფობდნენ?
ტენტაჟილ. ჩუმად ლაპარაკობდნენ, დაო.
იგრენა. ყოველთვის?
ტენტაჟილ. ყოველთვის, იგრენა, იმ შემთხვევათა გარდა, როცა მე შემომხედავდნენ ხოლმე.
იგრენა. დედოფალზე არაფერს ამბობდნენ?
ტენტაჟილ. დაო იგრენა, ასე ამბობდნენ - დედოფალი არ გვინახავსო.
იგრენ. გემზე შენი თანამეგზაურნი არაფერზე ლაპარაკობდენ?
ტენტაჟილ. დაო იგრენა, ისინი მხოლოდ ქარის ქროლვას უგდებდნენ ყურს და აფრებს შეჰყურებდნენ.
იგრენა. ეგ არ მაკვირვებს, ჩემო ბავშვო.
ტენტაჟილ. მე ყოველთვის მარტო მტოვებდნენ, დაო.
იგრენა. მომისმინე ტენტაჟილ, გიამბობ იმას, რაც ვიცი.
ტენტაჟილ. რა იცი, დაო?
იგრენა. ცოტა რამ, ბავშვო ჩემო... ჩვენი დაბადების დღის შემდეგ ორივე და აქ ვცხოვრობდით, არ გვქონდა ნება გაგვეგო, რა ხდებოდა აქ. მე დიდხანს ვიყავი ამ კუნძულზე ბრმასავით, ყველაფერი ბუნებრივად მეჩვენებოდა. ჩემს ირგვლივ მხოლოდ ფრინველთა ფრენას, ფოთოლთა შრიალს და

ვარდთა გაფურჩქნას ვამჩნევდი... ისეთი სიჩუმე იყო, რომ ბუჩქნარ ბაღში ჩავარდნილი მწიფე ხილი რაღასაც გვაგრძნობინებდა და მაშინვე ყველანი ფანჯრებს მივცვივდებოდით ხოლმე... თითქოს ეჭვი არავის არაფრისა ჰქონდა. მხოლოდ ერთ ღამეს მივხვდი, რომ აქ უთუოდ სხვა რაღაც იყო... მინდოდა გავქცეულიყავი, მაგრამ ვერ შევძელი... მიხვდი, რაც გითხარი?..

ტენტაჟილ. დიახ, დიახ, ჩემო დაო, მესმის, რაც უნდათ ჩემგან...

იგრენა. მაშ, ნუღარ ვილაპარაკებთ იმაზე, რაც ვიცით... ხედავ იქ გამხმარ ხეებს, ცის ტატნობს აბუნდებენ. ამჩნევ ციხეს იქ, ძირს, ველის დაბლობში...

ტენტაჟილ. აგერ შავად რომ მოსჩანს, დაო იგრენა?

იგრენა. ჭეშმარიტად ის შავია... თვით წყვდიადის სიღრმეშია, და ჩვენ იძულებულნი ვართ, იქ ვიცხოვროთ... შეეძლოთ იგი მაღალი გორების მწვერვალზე დაედგათ, იმ გორებისა, რომლებიც მას წრედ შემოვლებიან... დღისით გორები მოლურჯოდ გამოჭკრთიან... ამოსუნთქვაც მსუბუქია... იქიდან, კლდეებს გადაღმა გამოჩნდებოდა ხოლმე ზღვა, ველ-მინდორი. მაგრამ იმათ ციხის აგება ამჯობინეს ძირს, დაბლობში. ჰაერიც კი არ მოძრაობს იქ... ინგრევა ციხე-დარბაზი და ამაზე არავინ ზრუნავს... კედლები მიწაში იფლობა და შეიძლება ითქვას, წყვდიადში ილევაო. კოშკს ვერას აკლებს მხოლოდ დრო-ჟამი... კოშკი უზარმაზარია, და სახლიც იმის ჩრდილოშია შეფარებული...

ტენტაჟილ. იქ რაღაც ანათებს, დაო იგრენა... ხედავ, ხედავ ვეებერთელა ფანჯრებს?

იგრენა. კოშკის ფანჯრებია, ტენტაჟილ! შუქს მხოლოდ იქ იხილავ. სწორედ მანდვეა სამეფო ტახტი დედოფლისა.

ტენტაჟილ. დედოფალს ვერ ვნახავ?

იგრენა. იმას ვერავინ ნახავს.

ტენტაჟილ. რატომ არ შეიძლება მისი ნახვა?

იგრენა. მომიახლოვდი, ტენტაჟილ... არც ერთმა ფრინველმა, არც ერთმა მცენარემ ჩვენი ლაპარაკი არ უნდა გაიგონოს...

ტენტაჟილ. აქ მცენარე არა სჩანს, დაო... (სიჩუმე) მერე და რას აკეთებს დედოფალი?

იგრენა. არავინ იცის, ბავშვო ჩემო, არავის ეჩვენება... თავის კოშკში მარტოდმარტო ცხოვრობს. არც იმის მოსამსახურენი გამოდიან დღისით... დედოფალი ძალზე მოხუცია. იგი ჩვენი დიდედაა და უნდა მხოლოდ თვით მბრძანებლობდეს... ეჭვიანია და შურიანიო, ამბობენ, შეშლილიაო... შიშობს, სხვამ არავინ დაიჭიროს იმის ადგილი და ტახტი არ ჩამოართვას. შიშია მიზეზი შენი აქ მოყვანისა... მისი ბრძანებანი სრულდება, მაგრამ როგორ, არავინ იცის... დაბლა არასდროს არ ჩამოდის და კოშკის ყველა კარი დაკეტილია... არასოდეს არ მინახავს იგი, მაგრამ, ალბათ, სხვებს უნახავთ, როდესაც იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო...

ტენტაჟილ. ძლიერ ულამაზოა, დაო იგრენა?

იგრენა. ამბობენ, ულამაზოა, ულაზათო და საშინლად სქელიო. მაგრამ ვისაც უნახავს, მასზე ლაპარაკს ვერ ბედავს... მერე ნამდვილად კი უნახავთ? წარმოუდგენელი და გაუგებარი უფლებით მფლობელობს იგი. ჩვენ აქ ვცხოვრობთ, გულს მძიმე ლოდი დაგვწოლია და აღარ ველით შეწყალებას... ნუ შეგეშინდება და ნურც გულში გაივლებ, რომ ძილში ცუდი არა დაგვესიზმროს რა. ჩვენ დაგიფარავთ, ჩემო პატარა ტენტაჟილ, და ავი არაფერი მოგეკარება, მხოლოდ არ გამშორდე, არ მოსცილდე შენ დას ბელანჟერს, და ჩვენს მოხუც მასწავლებელს აგლოვალს...

ტენტაჟილ. აგლოვალსაც, დაო იგრენა?

იგრენა. აგლოვალსაც... მას ვუყვარვართ.

ტენტაჟილ. მერე ისეთი მოხუცია იგი, დაო!..

იგრენა. მოხუცია, მაგრამ დიდი ბრძენი. ერთადერთი მეგობარიღა შეგვრჩა... მაგან ბევრი რამ იცის. საოცრებაა... შენი მოსვლა მან არავის შეატყობინა... არ მესმის ჩემი გულის ამბავი... მოწყენილი ვიყავი და იმავე დროს მიხაროდა, რომ შორს იყავი, ზღვის გადაღმა... ეხლა კი... გაოცებული დავრჩი... დღეს დილით გამოვედი, რომ მენახა, მზემ წვერი ამოჰყო თუ არა გორებზე, ამ დროს კარის ზღრუბლზე შენ კი გიხილე. მაშინვე გიცანი...

ტენტაჟილ. არა, არა, დაო, პირველად მე შემოგცინე.

იგრენა. არ შემეძლო მაშინვე გამეცინა... რატომ, ამას შემდეგ გაიგებ... დროა, ტენტაჟილ, ზღვას სიბნელე ეფინება... მაგრად მაკოცე... კიდევ, კიდევ, სანამ ადგებოდე. შენ არ გესმის, რა არის

სიყვარული... მომეცი შენი პაწია ხელი... მაგრად დავიჭერ, გავუფრთხილდები და დიდ ციხე-კოშკში ერთად დავბრუნდეთ.
(გადიან)

ფარდა

მოქმედება მეორე

ოთახი ციხე-დარბაზში
აგლოვალ და იგრენა. შემოდის ბელანჟერ

ბელანჟერ. სად არის ტენტაჟილ?
იგრენა. აქ არის... ასე ხმამაღლა ნუ ლაპარაკობ. აქვე სძინავს, მეორე ოთახში. ცოტა ფერმკრთალია და ავადმყოფის შეხედულება აქვს. ზღვაზე დაღლილა ხანგრძლივი მოგზაურობით... შეიძლება ამ ციხის დახშულმა ჰერმა დარია ხელი იმის ქორფა სულს. ყოვლის უმიზეზოდ ტიროდა... ჩემს მუხლებზე ვარწევდი, ვულოლიავებდი... წადი, ნახე... ჩვენს ლოგინში წევს, მედიდურად სძინვს, შუბლზე ხელი მიუდევს, თითქოს ნაღვლიანი მცირეწლოვანი მეფეაო...
ბელანჟერ. (უცებ აქვითინდება) დაო... დაო... ჩემო საწყალო დაო...
იგრენა. რა მოხდა?
ბელანჟერ. არ შემიძლია ვთქვა, რაც ვიცი... და არც დარწმუნებული ვარ, თუ ვიცი რამ... მაგრამ მაინც გავიგე, რისი გაგებაც არ შეიძლეობდა...
იგრენა. მერე რა გაიგე?
ბელანჟერ. კოშკის ტალანს გვერდზე ჩავუარე...
იგრენა. მერე?
ბელანჟერ. ერთი კარი ცოტა ღია იყო, ფრთხილად ხელი ვკარი და შევედი.
იგრენა. სად?
ბელანჟერ. წინათ იქ არასდროს არ ვყოფილვარ... იქ იყო სხვა ტალანებიც, ლამპრებით განათებული... დაბალი გალერეები, რომელთაც გამოსასვლელი გზა არ ჰქონდათ... ვიცოდი, შორს წასვლა აკრძალული იყო... შემეშინდა... უკან დაბრუნება განვიზრახე, როცა ოდნავი ჩურჩული შემომესმა...
იგრენა. უთუოდ დედოფლის მოსმასახურენი იქნებოდნენ... კოშკის ძირას ცხოვრობენ.
ბელანჟერ. არ ვიცი, ვინ იყო... უეჭველია, ჩვენ რამდენიმე კარი გვაშორებდა და ჩემამდე ხმა ისე აღწევდა, გეგონებოდა, კაცს ახრჩობდნენ და მისი ხრიალი ისმისო... რაც შემეძლო, მივუახლოვდი... დარწმუნებული კი არ ვარ, მაგრამ მგონი ოქროს გვირგვინსა და იმ ბავშვზე ლაპარაკობდნენ, რომელიც დღეს მოვიდა... თითქოს იცინოდნენ კიდეც...
იგრენა. იცინოდნენ?
ბელანჟერ. დიახ, მგონი იცინოდნენ... თუ არ ტიროდნენ. შეიძლება სხვა რაღაც იყო და მე ვერ გავიგე, რადგან ხმადაბლა ლაპარაკობდნენ და კარგად არ მესმოდა... მათი საუბრის ხმა თაღების გამოძახილს უერთდებოდა... ლაპარაკობდნენ ბავშვზე, რომელიც დედოფალს უნდა ენახა... ალბათ, დღეს საღამოთი იმასთან ავლენ...
იგრენა. რაო? დღეს საღამოთი?
ბელანჟერ. ჰო, ჰო! ვფიქრობ, ასე მოხდება...
იგრენა. არავინ დაუსახელებიათ?
ბელანჟერ. ლაპარაკობდნენ ბავშვზე, სულ პატარა ბავშვზე...
იგრენა. აქ სხვა ბავშვები არ არიან...
ბელანჟერ. ამ წუთს ხმა შეუმაღლეს. გავიგონე, ერთმა თქვა: ჯერ ვგონებ დრო არ დამდგარაო,..
იგრენა. მესმის, რას ნიშნავს ეს ყველაფერი და კოშკიდან მათი გამოსვლაც პირველი არ იქნება... კარგად ვიცოდი, რისთვისაც ბრძანა მან ტენტაჟილის მოყვანა... მაგრამ არ მეგონა, თუ ასე აჩქარდებოდა!.. ვნახავთ... ჩვენ სამნი ვართ და როცა გვაქს...

ბელანჟერ. რა გინდა ქნა?
იგრენა. ჯერ არ ვიცი, რას ვიზამ, მაგრამ მას კი გავაკვირვებ... და თქვენ იცით რა არის, თქვენ, რომელნიც დგახართ და ცახცახებთ... მე გეტყვით...
ბელანჟერ. რას?
იგრენა. ადვილად ვერ ჩაიგდებს მას ხელში...
ბელანჟერ. ჩვენ მარტონი ვართ, დაო, იგრენა...
იგრენა. დიახ, მართლა მარტონი ვართ, მაგრამ ამას ყოველთვის ვახერხებთ. დაჩოქილები ველოდოთ, როგორც მას ჟამსა... (ირონიულად) იქნებ შეგვიბრალოს კიდეც... ჩვენმა ცრემლებმა გული მოულბოს... რასაც მოგვთხოვს, ყველაფერზე უნდა დავთანმხდეთ... იქნებ გაიღიმოს კიდეც... იგი ჩვეულებრივ იმას იბრალებს, ვინც მუხლებში ჩაუვარდება... უკვე რამდენიმე წელიწადია, ამ უზარმაზარ კოშკში ცხოვრობს და ყველა ჩვენიანებს ჟლეტს... ვერავინ ვერ უბედავს წინააღმდეგობას... საფლავის მძიმე ლოდივით დასწოლია ჩვენ სულს და ვერავინ ბედავს იმის აგლეჯას... მაშინ, როცა აქ ვაჟკაცნი იყვნენ, იმათაც კი ეშინოდათ და მაგის წინაშე პირქვე ემხობოდნენ... ეხლა რიგი დედაკაცებზე მოდგა... ვნახოთ... დროა მაინც აღვსდგეთ... არა, ვინ იცის, მისი ძლიერება რაზეა დაფუძნებული, და მეც იმის კოშკის ჩრდილში ცხოვრებას ვეღარ ავიტან... წადით, წადით ორივენი, და მე მარტოდმარტო დამტოვეთ, რაკი თქვენ ასე ძრწით... უნდა ველოდო მას...
ბელანჟერ. დაო, თუმცა არ ვიცი რა მოვიმოქმედო, მაგრამ მაინც შენთან დავრჩები...
აგლოვალ. მეც ვრჩები, ბავშვო ჩემო... ჩემს სულს დიდიხანია მოსვენება დაეკარგა... თქვენ სცადეთ... ჩვენ არაერთხელ ვცადეთ...
იგრენა. ცდილობდით? თქვენც?..
აგლოვალ. ყველანი ცდილობდნენ... მაგრამ უკანასკნელ წუთს ღონე ელეოდათ... თქვენ თვითონ ნახავთ... იმან რომ დღეს საღამოთი მიმიხმოს, გულ-ხელს დავიკრებ და სიტყვის შეუბრუნებლად, ჩემი მოქანცული ფეხებით იმის კიბის საფეხურებზე დინჯად ავალ, თუმცა ვიცი, რომ იქიდან თვალებახილული უკან არავინ დაბრუნებულა. იმის წინაშე ჩემი ვაჟკაცობა ქრება... ჩვენი ხელები აღარაფერს ემსახურებიან... აქ სხვანაირი ხელებია საჭირო... ყველაფერი გაქრა... მაგრამ მე მაინც მინდა შემოგეშველოთ, თუ თქვენ რაიმე იმედი გაქვთ... დაკეტეთ კარები, ჩემო პატარა... ტენტაჟილი გააღვიძეთ... მოხვიეთ თქვენი შიშველი ხელები და მუხლებზე დაისვით... სხვაგვარად ხსნა არ გვაქს...

ფარდა

მოქმედება მესამე

იგივე ოთახი
იგრენა და აგლოვალ

იგრენა. მე დავათვალიერე გასასვლელები... სამი კარია... ყველაზე უფრო დიდს უნდა გავუფრთხილდეთ... დანარჩენი ორი დაბალი და მკვიდრია, არასდროს არ იღება. მაგათი გასაღები დიდიხანია დაიკარგა. რკინის ურდულები კედლებშია გაყრილი... მიშველეთ, ეს კარი მივხუროთ!.. ეს ქალაქის კარებზეც მძიმია. ისეთი მკვიდრია, რომ ტყვიაც ვერ შეანგრევს... მზად ხართ?
აგლოვალ. (ზღრუბლზე ჩამოჯდება) მე ჩემი დაშნით შემოსასვლელი კარის საფეხურებზე დავჯდები... პირველად არ ველოდები და ვმხნეობ... არის წუთები, როდესაც ვერ მიმხვდარხარ ყველაფერ იმას, რაც გაგონდება. მე ყოველივე ამას ვაკეთებდი... არ მახსოვს კი როდის... მაგრამ ვერასოდეს ვერ ვბედავდი დაშნის ამოწვდას.... დღეს იგი ჩემთან არის, თუმცა ხელში ძალა არ შემწევს. მაგრამ მაინც მინდა ვსინჯო... იქნებ დადგა დრო მტრის მოგერიებისა, თუმცა ძალდატანებით ვერაფერს მივაღწევთ.
(მახლობელი ოთახიდან გამოდის ბელანჟერ, რომელსაც მოჰყავს ხელში აყვანილი ტენტაჟილ)
ბელანჟერ. არ ეძინა...
იგრენა. ფერმკრთალია... რა მოსვლია?
ბელანჟერ. არ ვიცი... ჩუმად ტიროდა...

იგრენა. ტენტაჟილ!
ბელანჟერ. გვერდზე იყურება...
იგრენა. ვერ მცნობს... ტენტაჟილ, რა გემართება? შენი და გელაპარაკება... იქ რას უყურებ? მოიხედე, მოდი ვითამაშოთ...
ტენტაჟილ. არა... არა...
იგრენა. არ გინდა თამაში?
ტენტაჟილ. დაო იგრენა, მეტი სიარული აღარ შემიძლია...
იგრენა. მეტი სიარული არ შეგიძლია? არა, არა, რა გემართება, გტკივა რამე?
ტენტაჟილ. ჰო...
იგრენა. რა, რა გტკივა? მითხარი, ტენტაჟილ, მოგარჩენ...
ტენტაჟილ. არ შემიძლია გითხრა, დაო იგრენა... ყველაფერი...
იგრენა. აქ მოდი, ტენტაჟილ... ხომ იცი, ნაზი ხელები მაქვს და მათი მიკარების უმალვე განიკურნები... აქ მომეცი ბელანჟერ. მუხლებზე დავისვამ და ყველაფერი გაუვლის... შეხედე, ხედავ, ეს რა არის? აქ შენი უფროსი დები არიან, შენ გვერდით... ჩვენ დაგიფარავთ და არაფერი არ მოგეკარება...
ტენტაჟილ. დაო იგრენა, აქ ვიღაცაა... დაო, რატომ ცეცხლი არ ანთია?
იგრენა. ანთია, ჩემო პატარა... განა ვერ ხედავ ჭერში ჩამოკიდულ ლამპარს?
ტენტაჟილ. დიახ, დიახ... ეგ პატარაა, სხვა არა გაქვთ?..
იგრენა. რად გინდა, გარშემო ყველაფერი ჩანს...
ტენტაჟილ. ჰა!..
იგრენა. რა ღრმა გამომეტყველება გაქვს...
ტენტაჟილ. აგრეთვე შენც, დაო იგრენა...
იგრენა. დღეს დილით ეგ არ შემინიშნავს... ვნახე, როგორ დგებოდნენ... მაგრამ დანამდვილებით ხომ არ იცი, სულს რა მოეჩვენება...
ტენტაჟილ. არასოდეს მინახავს სული, დაო იგრენა... მაგრამ იქ ზღრუბლზე აგლოვალი რისთვის ზის?
იგრენა. ისვენებს... დასაძინებლად წასვლამდე შენი კოცნა უნდოდა და შენს გაღვიძებას უცდიდა...
ტენტაჟილ. მუხლებზე რა უდევს?
იგრენა. მუხლებზე? მის მუხლებზე მე ვერაფერს ვამჩნევ.
ტენტაჟილ. არა, არა, რაღაც უდევს...
აგლოვალ. არაფერია, ჩემო პატარა... ჩემს ძველ დაშნას ვსინჯავდი, რომელსაც ძლივსღა ვცნობ... დიდხანს მემსახურებოდა იგი, მაგრამ რამდენი ხანია მისი ნდობაც დავკარგე და ვგონებ მალე გატყდება... აქ ტარს პატარა წინწკალი ამჩნევია... შევნიშნე, რომ ფოლადი ფერს კარგავდა და ჩემთვის ვფიქრობდი... არ ვიცი კი რას, დღეს რაღაც მაწევს გულზე მძიმე ლოდივით... მაგრამ რას იზამ: იძულებულნი ვართ მოულოდნელის მოლოდინით ვიცხოვროთ... მერე კი ისე ვიმოქმედოთ, თითქოს რაღაცის იმედი გვქონდეს... არის ისეთი მძიმე საღამოები, როდესაც სული გეხუთება ცხოვრების არარაობით და გინდა თვალები დახუჭო... გვარიანი დრო გავიდა და მეც დავიღალე...
ტენტაჟილ. ის დაჭრილია, დაო იგრენა...
იგრენა. სად?
ტენტაჟილ. შუბლსა და ხელებში....
აგლოვალი. ძველი ჭრილობებია, აღარც კი მაწუხებს... თითქოს საჭირო იყო, რომ დღეს საღამოთივე დასცემოდა შუქი... აქამდე ვერ ამჩნევდი ამას...
ტენტაჟილ. რა ნაღვლიანი შეხედულება აქვს, დაო იგრენა...
იგრენა. არა, არა, ეგ დანაღვლიანებული არ არის, მხოლოდ ძალზე დაიღალა...
ტენტაჟილ. შენც სევდა შემოგწოლია, დაო იგრენა...
იგრენა. არა მეთქი... ხედავ ვიღიმები...
ტენტაჟილ. მეორე დაც აგრევეა დანაღვლიანებული...
იგრენა. არა, ეგეც იღიმება...
ტენტაჟილ. ეგ ღიმილი არ არის, კარგად მესმის...
იგრენა. კარგი, კმარა... ეხლა კი მომეხვიე და სხვა რამეზე იფიქრე... (კოცნის)
ტენტაჟილ. რაზე, დაო იგრენა? ტკივილს რატომ ვგრძნობ, როდესაც ესე მკოცნი?

იგრენა. ნუთუ გტკენ რამეს?
ტენტაჟილ. ჰო... არ ვიცი, რატომ მესმის შენი გულის ფრიალი, დაო იგრენა...
იგრენა. განა გესმის ჩემი გულის ფრიალი?
ტენტაჟილ. ჰო, ისე ფრიალებს, თითქოს უნდოდეს...
იგრენა. რა?
ტენტაჟილ. არ ვიცი, დაო იგრენა.
იგრენა. უმიზეზოდ არ უნდა შეწუხდე და არც იგავებით ილაპარაკო... რა არის ეს? თვალებზე ცრემლები... ასე რატომ აღელდი... მეც მესმის შენის გულის ცემა... ასეა ყოველთვის, როდესაც ადამიანს ეხვევი, მაშინ ორი გული ერთმანეთს იდუმალად ემუსაიფება იმას, რასაც სიტყვით ვერ წარმოსთქვამ...
ტენტაჟილ. ეხლა მე ვერ გავიგე...
იგრენა. ეს იმიტომ რომ... რა გემართება? თითქოს გული გასახეთქად გქონდეს მზად...
ტენტაჟილ. (ყვირის) დაო იგრენა... დაო იგრენა!
იგრენა. რაო?
ტენტაჟილ. გავიგონე!.. ისინი... ისინი მოდიან...
იგრენა. ვინ, ვინ მოდის?... რა გემართება?
ტენტაჟილ. კარი! კარი! ისინი იქ არიან!.. (გულდაღმა დაეცემა იგრენას მუხლებზე)
იგრენა. რა ემართება?! გრძნობა დაკარგა...
ბელანჟერ. ფრთხილად, ფრთხილად... ეხლავე დაეცემა...
აგლოვალი. (სწრაფად წამოდგება დაშნით ხელში) მეც მესმის... თითქოს ტალანში მოდიან... ფეხის ხმაა...
იგრენა. ოხ!.. (სიჩუმეა; ყურს უგდებენ)
აგლოვალი. მესმის... მთელი ბრბოა...
იგრენა. ბრბო... რომელი ბრბო?
აგლოვალ. არ ვიცი... თითქო გესმის, თითქო არც არაფერიაო. ისინი ხომ ისე არ დადიან, როგორც სხვანი. მაინც მოდიან... კარს ხელს ავლებენ...
იგრენა. (ათრთოლებული ტენტაჟილს მკერდზე მიიკრავს) ტენტაჟილ! ტენტაჟილ!..
ბელანჟერ. (ეხვევა იმავე დროს) მეც, მეც! ტენტაჟილ!..
აგლოვალ. კარს არყევენ... მოისმინეთ... ჩუმად... ჩურჩულებენ... კარებს აწვებიან... (მოისმის გასაღების ჭრიალი)
იგრენა. გასაღები ჰქონიათ...
ბელანჟერ. დიახ, დიახ... მე დარწმუნებული ვიყავი... მოიცათ... (შედგება სულ ბოლო საფეხურზე დაშნაშემართული. ორივე დას მიმართავს) მოდით... თქვენც მოდით!.. (სიჩუმე. კარები ოდნავ შემოიღება. აღგზნებული და გაოცებული აგლოვალი ცდილობს მახვილით დასაფროს კარის ღიობი. კარის სიმძიმეს ვერ უძლებს დაშნა და წკრიალით ტყდება, ნამტვრევები წკრიალით ჩამოცვივდება კიბეზე, იგრენა წამოხტება. ხელში უჭირავს გულშეწუხებული ტენტაჟილი, გონს ვერ მოსულა. იგრენა, ბელანჟერ და აგლოვალი, ძალ-ღონე მოკრეფილნი, ამაოდ ცდილობენ კარის დახურვას, რომელიც ნელ-ნელ იღება, თუმცა შიგნიდან, მეორე მხრიდან არაფერი ისმის და არც არაფერი მოჩანს. მხოლოდ ცივი სინათლე გამოსჭვივის. ამ დროს ტენტაჟილ უეცრად გასწორდება, გონს მოვა და შეუწყვეტლივ წივის, თითქოს ტანჯვისა და ჩაგვრისაგან თავისუფლდებაო. დას მოეხვევა. იგი შეჰყვირებს თუ არა, კარი აღარ გამაგრდება და უცებ მიეხეთქება მათ მიწოლაზე, ასე რომ თავის შემაგრებასაც ვერ მოასწრებენ)
იგრენა. ტენტაჟილ!.. (გაკვირვებულნი შესცქერიან ერთმანეთს)
აგლოვალ. (კარებთან ყურს უგდებს) აღარაფერი მესმის...
იგრენა. (აღტაცებული) ტენტაჟილ, ტენტაჟილ! ხედავთ, ხედავთ! თავისუფალია, დასხნილია!.. თვალებში ჩახედეთ... რა ცისფერია... აი, ეხლავე დაილაპარაკებს... იმათ ნახეს, რომ ვდარაჯობდით. ვერ გაბედეს... მოგვეხვიე, გესმის... გვაკოცე ყველას, ყველას!.. ისე რომ გულმაც კი იგრძნოს... (ოთხივენი ცრემლმორეულნი ერთმანეთს მაგრად ჩაეკვრებიან)

ფარდა

მოქმედება მეოთხე

ტალანი მესამე მოქმედების ოთახის წინ
შემოდის დედოფლის სამი მოსამსახურე პირმობურვილი

პირველი მოსამსახურე. (კარებთან ყურს უგდებს) ისინი აღარ დარაჯობენ...
მეორე მოსამსახურე. მეტი დაცდა უსარგებლო იქნებოდა...
მესამე მოსამსახურე. იგი ამჯობინებს, რომ ყოველივე ფარულად მოხდეს...
პირველი მოსამსახურე. ვიცოდი, რომ უნდა დაწოლილიყვნენ...
მეორე მოსამსახურე. გააღეთ სწრაფად...
მესამე მოსამსახურე. უკვე დროა.
პირველი მოსამსახურე. კარებთან მომიცადეთ... მე მარტო შევალ, საჭირო არ არი სამივეს შესვლა...
მეორე მოსამსახურე. მართლაც ის ხომ პატარაა...
მესამე მოსამსახურე. უფროს დას უნდა უფრთხილდეთ...
მეორე მოსამსახურე. ხომ იცით, დედოფლის სურვილია, დებმა არა იცოდნენ რა...
პირველი მოსამსახურე. ნურაფრის გეშინიანთ... ვერ გამიგებენ...
მეორე მოსამსახურე. შედით... დროა... (პირველი მოსამსახურე კარს ფრთხილად აღებს და შედის ოთახში)
მესამე მოსამსახურე. აჰ!... (სიჩუმე, პირველი მოსამსახურე გამოდის ოთახიდან)
მეორე მოსამსახურე. სად არის ის?
პირველი მოსამსახურე. დებს შორის სძინავს, დებთან ჩახუტებულს... არ შემიძლია მარტო მოვიმოქმედო ეს...
მეორე მოსამსახურე. მე გიშველით...
მესამე მოსამსახურე. ჰოდა, წადით ერთად... მე აქ ვიდარაჯებ...
პირველი მოსამსახურე. ფრთხილად... უეჭველია, რაღაცას ხვდებიან, ცუდ სიზმრებს თუ ხედავენ... (ორივე მოსამსახურე ოთახში შევა)
მესამე მოსამსახურე. იმათ ყოველთვის იციან, მაგრამ ვერ კი ხვდებიან... (სიჩუმე. ორივე მოსამსახურე გამოდის ოთახიდან) აბა, რა ქენით?...
მეორე მოსამსახურე. თქვენც წამოგვყევით... მათი განშორება შეუძლებელია...
პირველი მოსამსახურე. როგორც უნდა განაშოროთ მათი ხელები, მაშინვე ხელახლად მოხვევენ ხოლმე ბავშვს...
მეორე მოსამსახურე. და ბავშვიც უფრო მაგრად ეკრობა...
პირველი მოსამსახურე. ბავშვს უფროსი დის გულზე მისვენებულს სძინავს.
მეორე მოსამსახურე. და მისი თავი დის მკერდზე ადის და ჩადის...
პირველი მოსამსახურე. ვერ მოვახერხებთ მისი ხელების განშორებას.
მეორე მოსამსახურე. მას თავისი ხელები დის თმებისთვის ჩაუვლია...
პირველი მოსამსახურე. დის ოქროს დალალები თავის პატარა ხელებში ჩაუბღუჯია...
მეორე მოსამსახურე. უფროსი დის თმის მოჭრა მოგვიხდება...
პირველი მოსამსახურე. მეორე დისაც, აი ნახავთ...
მეორე მოსამსახურე. მაკრატელი თან გაქვთ?
მესამე მოსამსახურე. დიახ...
პირველი მოსამსახურე. სწრაფად მიხედეთ... ისინი უკვე შფოთავენ...
მესამე მოსამსახურე. მათი გული და წამწამები ერთსა და იმავე დროს თრთიან...
პირველი მოსამსახურე. მართლა, ვნახე უფროსი დის ცისფერი თვალები.
მეორე მოსამსახურე. ჩვენ შემოგვხედა, მაგრამ ვერ კი დაგვინახა...
პირველი მოსამსახურე. როდესაც ერთ იმათგანს ეხები, დანარჩენი ორნი თრთიან.
მეორე მოსამსახურე. ცდილობენ, მაგრამ ვერ განძრეულან...
პირველი მოსამსახურე. უფროს დას თითქოს უნდა დაიყვიროსო. მაგრამ ვერ მოუხერხებია...
მეორე მოსამსახურე. წამოდით ჩქარა, თითქოს გაუფრთხილებიათ.

მესამე მოსამსახურე. მოხუცი ხომ არ არის იქ?
პირველი მოსამსახურე. მას იქ კუთხეში სძინავს.
მეორე მოსამსახურე. თავისი დაშნის ტარზე შუბლდაყრდნობილს სძინავს.
პირველი მოსამსახურე. არაფერი იცის და არც არაფერი ესიზმრება...
მესამე მოსამსახურე. წავიდეთ, წავიდეთ, უნდა გავათავოთ თუ არა...
პირველი მოსამსახურე. გაგიძნელდებათ იმითი ხელების განშორება...
მეორე მოსამსახურე. მართალია, ისე აქვთ ხელები გადაგრეხილი, როგორც წყალში დამხრჩვალ კაცს.
მესამე მოსამსახურე. წავიდეთ, წავიდეთ... (შედიან ოთახში, სიჩუმეა, რომელიც ირღვევა ამოოხვრით და სიზმარში ამოძახილი ნაღვლიანი კვნესით, შემდეგ სამი მოსამსახურე ჩქარა გამოდის ბნელი ოთახიდან. ერთ მათგანს ხელით მოჰყავს მძინარე ტენტაჟილ; მას ჩამოფენია ორი დის თავიდან შეჭრილი ოქროსფერი დალალები, რომლებიც ტენტაჟილს მაგრად ჩაუბღუჯია. ისინი ჩუმად მიიმალებიან ტალანის ბოლოს. ტენტაჟილ უცებ გამოიღვიძებს და განწირული ხმით დაიკივლებს)
ტენტაჟილ. (ტალანის სიღრმიდან) ა!.. (ისევ სიჩუმე. შემდეგ მოისმის მეორე ოთახში როგორ იღვიძებენ, და ორივე და შეძრწუნებული წამოხტება)
იგრენა. (ოთახში) ტენტაჟილ, სად ხარ?..
ბელანჟერ. ის აქ აღარ არის...
იგრენა. (თანდათან შეწუხებითა და მოუსვენრობით) ტენტაჟილ!.. ლამპარი... ლამპარი... აანთეთ ჩქარა!..
ბელანჟერ. კარგი, კარგი...
იგრენა. (ღია კარში ჩანს, როგორ მოდის ოთახში ლამპარ ანთებული) კარი ბოლომდე ღიაა...
ტენტაჟილის ხმა. (შორიდან ძლივს მოისმის) დაო იგრენა!..
იგრენა. ის ყვირის... მისი ხმაა... ტენტაჟილ!... ტენტაჟილ!.. (ტალანში გავარდება, ბელანჟერს უნდა დაედევნოს, მაგრამ გულშეწუხებული ზღრუბლზე დაეცემა)

ფარდა

მოქმედება მეხუთე

უშველებელი რკინის კარი ბნელი თაღების ქვეშ
შემოდის იგრენა, დაღვრემილი და აღელვებული, გაწეწილი თმით, ლამპრით ხელში

იგრენა. (მობრუნდება გონდაკარგული). ისინი არ წამომყვნენ! ბელანჟერ, ბელანჟერ!.. აგლოვალ!.. სად არიან? ამბობენ, გვიყვარსო, და მე კი მარტო მიმატოვეს... ტენტაჟილ, ტენტაჟილ... ოჰ, მაშ მართალი ყოფილა... ძლივს ავდიოდი დაუბოლოვებელი კიბის საფეხურებზე, მივიწევდი ზევით ვეება უწყალო კედლებს შორის; გულში შიში შემეპარა... მომეჩვენა, თითქოს თაღები იძვრიანო... (მიეყუდება სვეტს) წავიქცევი... ოჰ, ოჰ, ჩემო ბედკრულო სიცოცხლევ! ვგრძნობ, რომ მალე განშორდება ჩემს სხეულს... არ მესმის, რა ჩავიდინე... ვერაფერი დავინახე, ვერარა გავიგონე... რა სიჩუმეა!.. ეს ოქროს დალალები კიბის საფეხურებსა და კედლებზე ვიპოვნე, და ამათ მიჩვენეს გზა. ავკრიფე... ოხ, რა მშვენიერია!.. ჩემო ბავშვო, ჩემო პაწია ბავშვო... რა ვთქვი ნეტა? ჰო, მაგონდება... აღარ მწამს... შეიძლება დავიძინო, ყოველივე ეს უმნიშვნელოა და შეუძლებელი... არც კი მესმის, რაზე ვფიქრობ... მაგრამ მაინც უნდა... მაგრამ მაინც უნდა მოვიფიქრო... ხან ერთს ამბობ, ხან მეორეს. მაგრამ აქ სული სცდება; ვერ ცნობ ყოველივეს, რაც გამოაშკარავდება. აქ მოვედი ჩემი პატარა ლამპრით... თუმცა ქარია, მაგრამ არ ჩაქრა... მართლა და, რაზე უნდა ვიფიქრო, როდესაც ყველაფერი ასე გამოურკვეველია და ბუნდოვანი, მაგრამ ყოველივე ეს ხომ უნდა იცოდეს ვინმემ დანამდვილებით: მაშ რატომ არაფერს ამბობენ? (გარშემო მიმოიხედავს) ყველაფერ ამას პირველად ვხედავ, ამაზე ზევით ასვლა შეუძლებელია. გარშემო ყველაფერი დაკეტილია... ცივა... ისეთი სიბნელეა, რომ კაცს შეზარავს... წყვდიადი, თითქოს ყოველივეს წამლავს... აქ რაღაც საზარელი კარია... (კარს მიუახლოვდება და ხელს შეახებს) ოჰ! რა ცივია... მთლად რკინისა და სრულებით სადა, კლიტე არც კი აქვს... როგორღა იღება? ვერც ანჯამებს

ვხედავ... ფარული კლიტე აქვს მგონი... ზევით ასვლა აღარ შეიძლება... საფეხურები აღარაა... (საშინელი ხმით კივის) აი! კიდევ ოქროს დალალები კარებში!.. ტენტაჟილ, ტენტაჟილ!.. მე ხომ ეს-ეს არის გავიგონე კარის მიხეთქება... მაგონდება, მაგონდება... უნდა... (გახელებული სცემს კარებს მუშტებს და ფეხებს) ოხ, საშინელებავ! გველეშაპო... მაშ თქვენ აქ ბრძანდებით... გამიგონეთ... ლანძღვით გამკობთ!.. (კარის მეორე მხრიდან რაკუნი ისმის, შემდეგ ძლივს შესამჩნევად მოისმის ტენტაჟილის ხმა კარის მისახურთა შორის)

ტენტაჟილ. დაო იგრენა, დაო იგრენა...

იგრენა. ტენტაჟილ!.. რაო,.. რაო? ტენტაჟილ, შენა ხარ?..

ტენტაჟილ. გააღე, ჩქარა გააღე!.. აქ არის, აქ!..

იგრენა. ოი! ოი! ვინ?.. ტენტაჟილ, ჩემო პატარა ტენტაჟილ, გესმის ჩემი ხმა? რა ამბავია? რა შეგემთხვა?..

ტენტაჟილ, ხომ არაფერი გატკინეს. სად ხარ?.. მანდ ხარ?..

ტენტაჟილ. დაო იგრენა, დაო იგრენა?.. მოვკვდები, თუ კარს არ გამიღებ...

იგრენა. მოიცადე, ვსინჯავ, მოიცა... ვაღებ, ვაღებ...

ტენტაჟილ. შენ ჩემი არა გესმის რა... დაო იგრენა! დრო მიდის... იმან ვერ შემიკავა... ვცემე, და... მერე გამოვექეცი... ჩქარა, ჩქარა, მომდევს!..

იგრენა. მოვდივარ, მოვდივარ... სად არის?

ტენტაჟილ. ვერ ვხედავ... მაგრამ მესმის... ოჰ, მეშინია, დაო იგრენა, მეშინია... ჩქარა!.. თუ ღმერთი გწამს, ჩქარა გააღე, დაო იგრენა!..

იგრენა. (ძალზე შეწუხებული, მოუსვენარ ყოფაში, სინჯავს კარებს) დარწმუნებული ვარ, ვიპოვნი... მცირე ხანს მოიცა... ერთ წუთს... ერთ წამს...

ტენტაჟილ. მეტი დაცდა აღარ შემიძლია, დაო იგრენა... მესმის მისი სუნთქვა...

იგრენა. ეგ არაფერია, ტენტაჟილ... ნუ გეშინია, ჩემო პატარა ტენტაჟილ... მაგრამ ვაი, რომ ვერ ვხედავ...

ტენტაჟილ. მე ხომ ვხედავ შენთან რაღაც შუქს... შენს ახლო განათებულია, დაო იგრენა... აქ მეტს ვერაფერს ვხედავ...

იგრენა. მხედავ, ტენტაჟილ? როგორ მხედავ? აქ ღიობი არ ჩანს.

ტენტაჟილ. არა, არა, არის, მხოლოდ მეტად მცირე...

იგრენა. რომელ მხარეს? აქ?.. მითხარი... იქნებ ეს?

ტენტაჟილ. აი აქ, აქ... არ გესმის? ვაკაკუნებ...

იგრენა. აქ?

ტენტაჟილ. ზემოთ... მაგრამ ისეთი პატარაა, რომ ნემსიც კი ვერ გაეტევა...

იგრენა. ნუ გეშინია, ვიპოვე...

ტენტაჟილ. ოხ, მესმის, დაო იგრენა! გასწიე კარი, ძლიერ გასწიე! მოდის! ოჰ, რომ შემეძლოს ცოტათი გაღება, მხოლოდ ცოტათი... მე ხომ ისე პატარა ვარ!

იგრენა. მე ფრჩხილები დავიმტვრიე, ტენტაჟილ! ხელს ვკრავდი, ვაბრახუნებდი, ვიწევდი... (კიდევ არახუნებს კარს და ცდილობს როგორმე შესძრას, მაგრამ კარი არ იძვრის) ორი თითი დამიდუნდა... ნუ სტირი... ეს რკინაა...

ტენტაჟილ. (უიმედოდ ქვითინებს) ისეთი არაფერი გაქვს, დაო იგრენა, რომ კარი გავაღოთ?.. არაფერი, არაფერი... მაშინ კი შემეძლო გამოსვლა... იმიტომ რომ... ხომ იცი, რა პატარა ვარ, პატარა...

იგრენა. მე მხოლოდ ლამპარი მაქვს, ტენტაჟილ... აი, აი!.. (მაგრად დასცემს ლამპრით კარს; ლამპარი ჩაქრება და ტყდება) ოჰ, როგორ უცებ დაბნელდა!.. ტენტაჟილ, სად ხარ? ოჰ, გამიგონე, გამიგონე!.. არ შეგიძლია, შიგნიდან როგორმე გააღო კარი?..

ტენტაჟილ. არა, არა აქ არაფერია... იმ პატარა სინათლესაც კი ვეღარ ვხედავ...

იგრენა. რა გემართება, ტენტაჟილ? მე თითქმის აღარა მესმის რა...

ტენტაჟილ. დაო, დაო იგრენა... შეუძლებელია...

იგრენა. რა არის, ტენტაჟილ?.. სად მიდიხარ?..

ტენტაჟილ. ის, იქ არის... ღონე აღარ მაქვს დაო იგრენა, დაო იგრენა! მე ვგრძნობ...

იგრენა. ვის?.. ვის?..

ტენტაჟილ. არ ვიცი... ვეღარაფერს ვხედავ... ყველაფერი ეს აუტანელია!.. ის... ის... ყელში მიჭერს... ო... ოჰ... დაო, იგრენა, მოდი აქ.

იგრენა. ჰო, ჰო...
ტენტაჟილ. როგორ ბნელა!
იგრენა. ხელიდან გაუსხლტი, მოიგერიე!.. ნუ გეშინია! კიდევ ერთი წუთიც... და მანდ გავჩნდები... ტენტაჟილ!.. ტენტაჟილ! მიპასუხე!.. მიშველეთ... სად ხარ? სად? მე გიშველი... მე... მომეხვიე... მანდედან მომეხვიე, აი აქ, აქ!..
ტენტაჟილ. (ძლიერ სუსტად) აქ... აქ... დაო იგრენა...
იგრენა. აი აქ, აქ მინდა გაკოცო, გესმის? კიდევ, კიდევ!
ტენტაჟილ. (უფრო და უფრო მისუსტებული) მეც გკოცნი... აქ... დაიკო... დაო იგრენა... ჰო... (რკინის კარებს იქით მოისმის პატარა ტანის ძირს დაცემა)
იგრენა. ტენტაჟილ, ტენტაჟილ! რა ჰქენი?.., მომეცით, დამანებეთ... ღვთის გულისათვის, დამიბრუნეთ! აღარა ისმის რა... რას უშვებით? ხომ მართალია, რომ თქვენ არაფერს დაუშავებთ, არას ატკენთ? ეს ხომ საცოდავი ბავშვია... თქვენთვის ხომ არაფერი წინააღმდეგობა გაუწევია... შემომხედეთ, მიყურეთ. მე ხომ ბოროტი არა ვარ... მუხლმოდრეკით გევედრები, მომეცით! ეგ მარტო მე ხომ არ მეკუთვნის, ხომ იცი: ყველაფერზე მზად ვარ... ყველაფერს ავასრულებ, რასაც ჩემგან ითხოვენ... ხომ ხედავთ, არ ვარ ცუდი... გულხელდაკრეფილი გემუდარებით... გემორჩილებით, დამნაშავე ვიყავი... ხომ ხედავ... რაც გამაჩნდა ყოველივე დავკარგე... სხვანაირად დაგვსაჯეთ... არის ბევრი რამ, რაც უფრო მეტ მწუხარებას მომანიჭებდა... ჩემს ტანჯვას, თუ ეს შენთვის საჭიროა, ყოველთვის მოესწრები... მაგრამ საბრალო ბავშვი არაფერშია დამნაშავე... ყოველივე ტყუილია, რასაც ვამბობდი... მაგრამ მე არ ვიცოდი... კარგად ვიცი, რომ თქვენ გულკეთილი ბრძანდებით... ხომ უნდა აპატიოთ როდისმე მაინც... იგი ჯერ ისე ნორჩია, ლამაზი... თვითონვე ხედავთ, რომ ეს შეუძლებელია... ყელზე გეხვევათ თავის პაწია ხელებით და გკოცნით. თვით ღმერთსაც კი არ შეუძლია ამ სურათის გულცივად ატანა... თქვენ ხომ გაუღებთ კარს, გაუღებთ განა? დახეთ, რა უბრალო რამეს გთხოვთ... თითქმის არაფერს... იგი მხოლოდ ერთი წუთით უნდა ვნახო, მხოლოდ ერთი წუთით... აღარ მახსოვს... გესმის თუ არა... დრო არ მქონდა... ცოტა რამ არის საჭირო, რომ გამოვიდეს და ეს კი თქვენ ადვილად შეგიძლიათ... (ხანგრძლივი სიჩუმეა) გველეშაპო, გველეშაპო, წყეულიმც იყავ!.. (ქანცმიწევეტილი ჩუმად ქვითინებს, თან გაშლილ ხელებს კარებისკენ იშვერს)

ფარდა

iBooks

სხვა ელექტრონული წიგნებისათვის გთხოვთ ეწვიოთ
ჩვენს ინტერნეტ-მაღაზიას: www.iBooks.ge